ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 37850 1, 378396

№ 8-12/13291100-16 12 02 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რ/ნ, წინანდლის ქ. №9-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (თბილისის I საავადმყოფო საუნივერსიტეტო კლინიკა-ნეიროქირურგიის ცენტრი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება – №01/2737 30.11.2010წ.
მშენებლობის სანებართვო მოწმობა – №6/2976-1 30.11.2010წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რ/ნ, წინანდლის ქ. №9-ში (საკ.კოდი №01.17.13.001.066) მდებარე შენობა-ნაგებობის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ა ბლოკი:

შენობის ფასადებზე კარ-ფანჯრების გაბარიტები, რაოდენობა ადგილმდებარეობა და ნახატები არ ეშლება საპროექტოს. დამატებულია კონდიციონერები, გამწოვი და საკომუნიკაციო მილები, ასევე დამატებულია წყალმიმღები მილები. გარე კედლებზე ასახულია კოლონების და რიგელების ფრაგმენტები. უკანა და გვერდით ფასადებზე დასამთავრებელია სამღებრო და ლესვითი სამუშაოები. ზოგიერთ მონაკვეთში ღიობები შესავსებია.

წინა ფასადის მხარეს "A-B" მონაკვეთში მეორე სართულიდან მეექვსე სართულის ჩათვლით მინის ოვალურ სივრცეში გაუქმებულია პროექტში ნაჩვენები ერკერი. "N-K" მონაკვეთში პირველ სართულზე კარის გვერდით გაუქმებულია კიტრაჟი. მეექვსე სართულზე "A-B" მონაკვეთში დამატებულია ორი კარის ღიობი. "E-K" მონაკვეთში +3.30 ნიშნულის ქვევით კედელი მოპირკეთებულია ქვის ფილებით.

უკანა ფასადზე ±0.00 ნიშნულზე გაუქმებულია კიბეები. "F-3" მონაკვეთში +26.40 ნიშნულის ზევით სვეტებს შორის კედლები მოსაწყობია. "F-F" ღერძთან მოწყობილია ამწე მექანიზმი.

დეკორატიული ჟალუზები და წარწერები არ ემთხვევა საპროექტოს.

VI სართულზე (შენობის შიგნით) ოთხ ადგილას სართულშუა გადახურვის ფილის დონე აწეულია დაახლოებით 0.80 მ.-ით.

+35.70 ნიშნულზე (სახურავზე) "3-5" და "5-9" მონაკვეთებში ორ ადგილას, გაზრდილია საპროექტო სამანქანო განყოფილებების ფართი და დამატებულია ფრამუგის ღიობები. კიბეები არ ემთხვევა საპროექტოს.

"2-1" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია 24.0 მ² ფართის მიშენება, ხოლო "5-3" მონაკვეთში შენობის წინ მოწყობილია 65.0 მ² ფართის საქვაბე.

"6-1" მონაკვეთში –I სართულში (სარდაფში) დამატებით შექმნილია დაახლოებით 250.0 მ² ფართის სივრცე, ხოლო წინა მხარეს ასევე შექმნილია ფართი 190.0 მ². ამავე მონაკვეთში I სართულზე "F-F" ღერძზე არსებული კედელი შეწეულია "ე-ე" ღერძისაკენ დაახლოებით 1.40 მ.-ით. II სართულზე დამატებულია სვეტები, ხოლო მის თავზე +6.60

ნიშნულზე (III სართულზე) დამატებით დასხმულია ფილა ფართით დაახლოებით 250.0 მ², მის თავზე +9.90 ნიშნულზე ასევე დამატებით დასხმულია ფილა ფართით დაახლოებით 120.0 მ².

XI სართულზე "ჟ-ჟ" ღერძზე სვეტი გადაადგილებულია.

ტერიტორიაზე დამატებით განთავსებულია სარეკლამო ბანერი და დაცვის კაპიტალური ჯიხური.

ბ ბლოკი:

გაზრდილია ბ ბლოკის ფართი 230.0 მ²-ით და დამატებულია სვეტები. აღნიშნული ობიექტის არქიტექტურული იერსახე არ ემთხვევა საპროექტოს. (კომერციული ფართის ნაცვლად მოწყობილია ავტოსადგომი.

ღობის კედელი განთავსებულია წითელი ხაზის გარეთ.

რაზედაც ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. „თბილისის არქიტექტურის სამსახური"-ს მიერ არ იქნა გაცემული დადებითი დასკვნა (დასკვნის №1112323 07.02.2014წ. განაცხადის ნომერი: AR1194096).

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 103¹-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 88-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მოქ. შ.პ.ს. „ქ. თბილისის პირველი საავადმყოფო, საუნივერსიტეტო კლინიკა – სახალხო ჰოსპიტალი"-ს ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რ/ნ, წინანდლის ქ. №9-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (თბილისის I საავადმყოფო საუნივერსიტეტო კლინიკა-ნეიროქირურგიის ცენტრი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/13291100-16 16.01.2014წ. განცხადება

უფროსის მოადგილე ვ. შუკვირიშვილი